

უსაფრთხოების ცნების ტრანსფორმაცია მსოფლიოში და ქართული  
საზოგადოების დამოკიდებულებები

თეონა კაპანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფაკულტეტზე  
საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა კაპანაძე, 06.07.2015

## აბსტრაქტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში უსაფრთხოების ინტერპრეტირება გარემოების და მოვლენების განვითარების მხრივ იცვლება. ამიტომ უსაფრთხოების ცნების კვლევა დროში სამეცნიერო აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს განიხილოს უსაფრთხოების კონცეფცია და მისი თანამედროვე გაგება. გამოიკვლიოს რამ გამოიწვია უსაფრთხოების სახეცვლილება დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში. შესაბამისად ჩემი საკვლევი საკითხიც მდგომარეობს შემდეგში: *რომელმა ფაქტორებმა გამოიწვია უსაფრთხოების ტრანსფორმაცია და რა დამოკიდებულებები აქვს ამ ცნებასთან ქართულ საზოგადოებას?* ტრანსფორმაციის სავარაუდო მიზეზებად მოვიაზრე ტექნოლოგიების მიღწევები და სხვადასხვა ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც რა თქმა უნდა ყოველთვის არსებობდა, მაგრამ დღეს, გლობალიზებულ მსოფლიოში კიდევ უფრო მეტად იწვევს უსაფრთხოების ცნების ცვლილებას.

აღნიშნული საკითხის გამოსაკვლევად გამოვიყენებ კვლევის ისეთ მეთოდს როგორცაა თვისობრივი კვლევა და მისი შემადგენელი ნაწილები. ეს იქნება ფოკუსჯგუფები.

კვლევაში კონკრეტულად განხილულია სამი თაობის მოსაზრებები უსაფრთხოების ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით. ესენია არიან პიროვნებები, რომლებსაც უცხოვრიათ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, და ამასთანავე გააზრებულ სამოქალაქო ცხოვრებას ეწეოდნენ იმ პერიოდისთვის, იგულისხმება რომ იმ პერიოდისათვის სრულწლოვანები იყვნენ და მეტნაკლებად ჩართულნი იყვნენ იმ დროის საკითხებში. ადამიანები, რომლებიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ (დაახლოებით 40-50 წლის ასაკობრივი კატეგორიის) და ოცდამეერთე საუკუნის ადამიანების აზრები. (20-30წლის)

კვლევის შედეგებია ის, რომ სამხედრო ვეტერანებისათვის უსაფრთხოდ ყოფნა სამხედრო დაპირისპირების არ არსებობაში გამოიხატება, მეორე ასაკობრივი

ჯგუფისათვის იკვეთება უფრო სხვა ფაქტორები, შემოდის სამოქალაქო უსაფრთხოების არსი და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების როლი უსაფრთხოების დაცვის საკითხში. ხოლო მესამეჯგუფის აზრით, უსაფრთხოება მრავალფეროვანია. ოცდამეერთე საუკუნის უსაფრთხოება შესაძლოა იყოს , როგორც სამხედრო და პოლიტიკურ დაპირისპირება სუვერენიტეტის შენარჩუნების მიზნით, ასევე ტერორიზმი, კიბერუსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკოლოგიური, გარემოსა და ადამიანის უსაფრთხოება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევაში მონაწილე ამ ჯგუფმა უსაფრთხოების კონცეფცია კიდევ უფრო სხვანაირად დაახასიათა და უსაფრთხოების მრავალფეროვნება განმარტა ერების კულტურული მრავალფეროვნებით , ნორმებითა და იდენტობით.

ძირითადი სამიეზო საკითხები : ეროვნული უსაფრთხოება, სამხედრო უსაფრთხოება, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ინფორმაციული, ბუნებრივიგარემოს უსაფრთხოება.კულტურა და იდენტობა ეროვნულ უსაფრთხოებაში, შეაიარაღებული ძალები, პოლიცია, სახედრო-სამოქალაქო ურთიერთობები.

## **Abstract**

In recent decades safety interpretation changing towards development of circumstances and events. Therefore, the concept of safety research in time is an important part of scientific thinking.

The present study aims to review the safety concept and its modern comprehension. Investigate what caused the diversity of safety today, in the twenty-first century. Accordingly my research question is the following: which factors cause the diversity of safety? I considered technology achievements and cultural diversity of different countries as probable reasons, which have always existed certainly, but today in a globalized world leads to diversity of safety even more.

In order to exam this issue I'll use a research method such as qualitative research and its component parts. These will be focus groups.

Opinions of three generations are considered in the research specifically regarding to the diversity of safety. These are people who lived in the first half of the twentieth century, at the same time they lived with thoughtful civil life, it means that they were adults at that time and they were more or less involved in the matters of that time. Opinions of the people who lived in the second half of the twentieth century (approximately 40-50 age categories) and twenty-first century people (20-30 years);

The results of the research is that safety for military veterans is expressed in the absence of a military confrontation, other factors are expressed for second age group, enters the essence of civil safety and also the role of international organizations in safety protection issue, while a third group believes that safety is diverse. Twenty-first century safety may be, as a military and political confrontation in order to preserve the sovereignty, also terrorism, cyber security, economic safety, ecological, environmental and human safety. It should be noted that the group differently characterized concept of safety and diversity of safety explained through nations' cultural diversity, norms and identity.

Key words: National safety, military security, political, economic, social, informational, environmental safety; culture and identity in national safety, the armed forces, police, military-civil relations.

## მადლობა

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემი აკადემიური ხარისხის ხელმძღვანელს ბატონ დავით დარჩიაშვილს დახმარებისთვის, ასევე კვლევაში მონაწილე ყველა ადამიანს, რომელთაც ძალიან დიდი დახმარება გამიწიეს კვლევის ჩატარების პროცესში, მათი წვლილის გარეშე ვერ დავდებდი ამ შედეგებს.

ასევე მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ ოჯახის წევს დახმარებისა და ხელშეწყობისათვის.